ვალერიან ვაშაკიძე

მრავალმხრივ საყურადღებო და საჭირო წიგნი

თავშივე უნდა განვაცხადო, რომ გ. ჭეიშვილის „სანახებნი ქართლისანი: ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი“ (გამომცემლობა AUREUS, თბილისი, 2024) ქართული საისტორიო მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია. წინათქმაში აღნიშნულია, რომ „... კრებულში... გაერთიანებულია საქართველოს ისტორიული საზღვრების პრობლემატიკასთან დაკავშირებული სამეცნიერო სტატიები. თემატურად ისინი ასე შეიძლება დაჯგუფდეს: ისტორიის კონკრეტულ ეტაპზე გარკვეული სასაზღვრო მონაკვეთის დადგენა, ცალკეული პროვინციის ლოკალიზაცია, ისტორიული მხარეების ეთნო-კულტურული იერსახის გარკვევა, შუა საუკუნეების ავტორთა გეოპოლიტიკური მისწრაფებების განსაზღვრა. კრებულის უკანასკნელი რუბრიკა თანამედროვე საისტორიო მეცნიერებაში დამკვიდრებული ტრადიციული ისტორიულ-გეოგრაფიული კონცეპტების ანალიზსა და კრიტიკას, აგრეთვე, საქართველოს მიწა-წყლის მისატაცებლად გამიზნული ყალბი ნარატივების გამოვლენასა და გაბათილებას ეთმობა“. ბუნებრივია, აქ გამჟღავნებული მიზნებიდან გამომდინარე, მრავალწლიანი სამეცნიერო მუშაობის შედეგად დაგროვილი გამოკვლევებიდან სათანადო მასალის შერჩევას, თემატურთან ერთად, გეოგრაფიული პრინციპიც დაედო საფუძვლად. ეს კარგად ჩანს წიგნის სარჩევიდან, რომლის თავებია: „ცენტრალური კავკასიონი“, „კახეთი“, „გოგარენე-ქვემო ქართლი“, „მოსხიკე-მესხეთი“ და სხვ. მოტანილი სათაურები აერთიანებენ იმ სამეცნიერო სტატიებს, რომლებშიც სიღრმისეულადაა შესწავლილი ამა თუ იმ ეპოქის ისტორიული საქართველოს ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის, სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის საზღვრების საკითხები. სწორედ ამიტომაც, გ. ჭეიშვილის „სანახებნი ქართლისანი“ ჩემთვის უფრო მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომია, ვიდრე ცალკეული სამეცნიერო კვლევების კრებული. ვფიქრობ, ამ მოსაზრებას კიდევ მეტად განამტკიცებს ქვემოთ მოტანილი მსჯელობა, რომელიც სარეცენზიო წიგნში ჩვენი სამშობლოს სამხრეთის საზღვრებს, საზღვრისპირა ისტორიულ პროვინციებს და მათთან დაკავშირებულ მოვლენებს ეხება.

ისტორიული საქართველოს საზღვრის ამ მონაკვეთის არჩევა შემთხვევითი არ არის. როგორც გ. ჭეიშვილი აღნიშნავს (და სამართლიანადაც), სამხრეთის საზღვრები „განსაკუთრებული ცვალებადობით გამოირჩევა. სამხრეთის საზღვრებზე მიმდინარე პოლიტიკური და ეთნიკური ცვლილებები კი საფუძველს აძლევს მკვლევართა ნაწილს, მეტადრე ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში, მესხეთი და ქვემო ქართლი არაქართულ ტერიტორიებად გამოაცხადოს“. ჩემი მხრიდან დავძენ, რომ ხსენებული პრობლემების კვლევას კიდევ ერთი სირთულე ახლავს. საქმე ისაა, რომ აღნიშნული სასაზღვრო მიწების ირგვლივ არსებულ ჯანსაღ თუ ფსევდომეცნიერულ პოლემიკას გაცილებით დიდი ხნის ისტორია აქვს, ვიდრე საქართველოს არაკეთილმოსურნეთა მიერ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის საზღვრებთან დაკავშირებული პრეტენზიების წამოყენებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ განსახილველ საკითხზე, ბევრ დილეტანტთან და მიკერძოებულ მეცნიერთან ერთად, არაერთ საქვეყნოდ აღიარებულ სწავლულს გამოუთქვამს საკუთარი მოსაზრება. ავტორიტეტებთან მეცნიერული დაპირისპირება, მათი შეხედულებების კორექტირება ან სულაც უარყოფა კი მკვლევრისაგან საკითხის სიღრმისეულ, განსაკუთრებით ჩაკირკიტებულ შესწავლას მოითხოვს. წინასწარ უნდა ითქვას, რომ სარეცენზიო ნაშრომის ავტორმა ყველა სიძნელეს ჩინებულად გაართვა თავი. მივუბრუნდეთ ისტორიული საქართველოს სამხრეთის სამანებს.

სპეციალისტებისათვის კარგადაა ცნობილი ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე მოღვაწე ბერძენი ავტორის, სტრაბონის „გეოგრაფია“, სადაც ნათქვამია: „პირველად ის (არმენია – ვ. ვ.) პატარა ყოფილა, გაზრდილა არტაქსიასა და ზარიადრის მეშვეობით... ამათ გაზარდეს (ქვეყანა იმის ხარჯზე), რომ მეზობელ ხალხებს ჩამოაჭრეს ნაწილები... იბერებს პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე“ (11,14,5). განვმარტავ, რომ წყაროში მოხსენიებული არტაქსია და ზარიადრი სელევკიანთა სირიის სამეფოს მიერ დაპყრობილი დიდი და მცირე არმენიის მმართველები იყვნენ. მათ ისარგებლეს რომის აღმოსავლეთში გაფართოებით, თავიანთ საგამგებლო ტერიტორიებზე თავი მეფეებად აღიარეს, რომაელებს ერთგულება გამოუცხადეს და მათი მფარველობა მოიპოვეს. სწორედ არტაქსიას, ანუ არტაშეს I-ის (ძვ. წ. 189-161 წწ.) დროს, სტრაბონის მიხედვით, დიდმა არმენიამ ქართლის/იბერიის სამეფოსგან მიიტაცა პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე. ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის მოტანილი ცნობა ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს, რომ სულ ცოტა ძვ. წ. 80-იან წლებამდე ზემოდასახელებული ტერიტორიები ქართული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა (სხვაგვარად წყაროში დამოწმებული ტერმინის, „ჩამოაჭრეს“ გაგება შეუძლებელია). ამდენად, გარდა იმისა, რომ პარიადრეს მთების, ხორზენეს და გოგარენეს ადგილმდებარეობის განსაზღვრას ანტიკური კავკასიის ისტორიული გეოგრაფიის შესწავლისათვის თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს, მათი ლოკალიზაცია ჩვენი სამშობლოს

ისტორიისათვის სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები საშუალებას იძლევა დამაჯერებლად და ობიექტურად ვიმსჯელოთ ქართლის სამეფოს სამხრეთის საზღვრებზე ფარნავაზიდან მოკიდებული იმ დრომდე, ვიდრე აღნიშნული მიწები დიდი არმენიის მიერ არ იქნა მითვისებული.

პარიადრეს მთების ადგილმდებარეობის კვლევისას გ. ჭეიშვილი დაწვრილებით მიმოიხილავს საკითხზე არსებულ მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურას (ჰ. კიპერტი, ჰ. ჰიუბშმანი, ი. მარკვარტი, კ. თუმანოვი, ჰ. ტრაიდლერი, ნ. ადონცი, ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე, ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი, დ. მუსხელიშვილი და სხვ.), ახდენს გამოთქმული მოსაზრებების სისტემატიზაციას, მაგრამ „ვინაიდან ზემოჩამოთვლილი ყველა მკვლევარი... ძირითადად სტრაბონის ტექსტს ეყრდნობა“, ის კიდევ ერთხელ უბრუნდება პირველწყაროს და იწყებს პარიადრეს მთის შესახებ „გეოგრაფიაში“ დაცული ყველა ცნობის შესწავლას. კვლევის შედეგად სარეცენზიო ნაშრომის ავტორი გვთავაზობს მეტად საგულისხმო დასკვნას: „პარიადრეს მთის სახელწოდებით სტრაბონის შრომაში აღინიშნებოდა მთების ორი სხვადასხვა რიგი: 1) აღმოსავლეთ პონტოს მთაგრეხილის სექტორში – ჯანიკისა და გირესუნის ქედები (თემისკირიდან მცირე სომხეთამდე); 2) მცირე და დიდი სომხეთის საზღვრებთან მდებარე ევფრატ-ჭოროხის წყალგამყოფი ქედი“. ეს თვალსაზრისი, რომელიც „გეოგრაფიის“ მონაცემთა საგულდაგულოდ შესწავლასა და ანალიზს ეფუძნება, ეჭვს არ იწვევს და კარგად ხსნის სამეცნიერო გამოკვლევებში საკითხთან დაკავშირებული განსხვავებული შეხედულებების არსებობას.

ახლა გასარკვევია, თუ რომელ მთათა სისტემას გულისხმობს სტრაბონი იმ შემთხვევაში, როცა დიდი არმენიისგან იბერთათვის პარიადრეს კალთების მიტაცებაზე მოგვითხრობს. წყაროთა კრიტიკული ანალიზის შედეგად, გ. ჭეიშვილი ასკვნის, რომ „გეოგრაფიის“ XI,14,5-ში ნახსენები პარიადრეს მთა ევფრატ-ჭოროხის წყალგამყოფ ქედთან უნდა გავაიგივოთ. მკვლევარი თავის ამ მოსაზრებას განამტკიცებს სხვა მონაცემთა (პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია“, ე. წ. კასტორიუსის რუკა) მოშველიებით, რაც ზემოთ მოტანილ მოსაზრებას მეტ დამაჯერებლობას სძენს.

ჩვენთვის საინტერესო პარიადრის მთის ლოკალიზაციის შემდეგ, გ. ჭეიშვილი მსჯელობს იმის შესახებ, თუ რომელი ისტორიული პროვინცია (ან პროვინციები) იგულისხმება „გეოგრაფიაში“ დასახელებულ პარიადრეს კალთებში, რომელიც ევფრატის სათავეების მახლობლად მდებარეობდა. ასეთად ავტორი ბასიანს მიიჩნევს, რაშიც, ჩემი აზრით, ძნელია ეჭვი შეიტანო. მკვლევარი ამაზე არ ჩერდება და კიდევ მეტად უღრმავდება საკითხს. იგი იხილავს სტრაბონთან დაცულ ცნობას (1,3,21), რომელსაც გეოგრაფოსი აპოლოდოროსს მიაწერს. მასში ნათქვამია, რომ იბერები „არმენიას ესაზღვრებიან არაქსით“. მართალია სტრაბონი ბოლომდე არ ეთანხმება აპოლოდოროსს და ეკამათება მას, მაგრამ ამას თავისი ახსნა აქვს. სამეც-

ნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია კარგად დასაბუთებული მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში სტრაბონი თავისდროინდელ ვითარებას გადმოსცემს, ხოლო აპოლოდოროსის ცნობა გაცილებით ადრინდელ რეალიებს ასახავს. გ. ჭეიშვილი ნდობას უცხადებს (და სრულიად საფუძვლიანად) აპოლოდოროსს და გამოთქვამს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც არმენიისგან იბერებისათვის მიტაცებული ერთ-ერთი თემი არაქსის ხეობაშია საძიებელი. სტრაბონთან შემონახული ცნობების ანალიზთან ერთად, მოტანილი დასკვნის განსამტკიცებლად, გ. ჭეიშვილი განიხილავს სომეხ ისტორიკოსთან, მოვსეს ხორენაცთან დაცულ საისტორიო ტრადიციას, რომლის თანახმადაც არაქსის ზემო წელზე განლაგებული ბასიანი და ვანანდი (ე. წ. „ზემო ბასიანი“) სომხეთის ეთნარქ-ეპონიმების – არმენოსისა და ჰაიკის შთამომავალთა მოღვაწეობის ფარგლებს გარეთ რჩებოდა. საბოლოო დასკვნა, რომელშიც ობიექტურმა პროფესიონალმა მკითხველმა ძნელია ეჭვი შეიტანოს, ასეთია: სტრაბონისეული პარიადრეს კალთები, რომელიც გაძლიერებულმა დიდმა არმენიამ იბერიას ჩამოაჭრა, ზოგადად ეწოდებოდა ევფრატ-ჭოროხის წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთების მოსაზღვრე, არაქსის სათავეებში მდებარე ისტორიულ ოლქებს – ბასიანსა და ვანანდს.

ვფიქრობ, დამატებითი განმარტება არ არის საჭირო იმისათვის, რომ მოტანილი მოსაზრების მნიშვნელობა წარმოვაჩინო. გ. ჭეიშვილის კარგად არგუმენტირებული დასკვნის საფუძველზე სრულიად ცხადი ხდება, რომ ქართლის სამეფოს ჩამოყალიბებიდან სულ ცოტა ძვ. წ. II ს-ის 80-იან წლებამდე ქართული სახელმწიფოს სამხრეთის სამანის ერთი მონაკვეთი ევფრატ-ჭოროხის წყალგამყოფ ქედს გასდევდა და სტრაბონისეული პარიადრეს კალთები, ანუ ბასიანისა და ვანანდის პროვინციები, ქართლის/იბერიის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ „გეოგრაფიაში“ (11,14,5) დაცულ ცნობაში არმენიისგან იბერთათვის მიტაცებული ტერიტორიებიდან ერთ-ერთი იყო ხორზენე. ამ უკანასკნელის ადგილმდებარეობის გარკვევას გ. ჭეიშვილი, ჩვეულებისამებრ, საკითხზე არსებული მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლით იწყებს. ქართველი თუ უცხოელი ავტორების (თ. რეინაკი, ვ. ტომაშეკი, ა. ბაუმგარტნერი, ჰ. კიპერტი, კ. მიულერი, ი. მარკვარტი, ჰ. ჰიუბშმანი, ნ. ადონცი, ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, გრ. ღაფანციანი, ს. ჯანაშია, ჰ. მანანდიანი, ნ. ლომოური, დ. მუსხელიშვილი, ს. ერემიანი, ნ. ხაზარაძე, გ. ქავთარაძე და სხვ.) მიერ გამოთქმული მოსაზრებების განხილვის შემდეგ, სარეცენზიო ნაშრომის ავტორი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს: „ყველა აღნიშნული ლოკალიზაცია ხორზენესი სტრაბონისა და მისგან დამოუკიდებელი ორი ავტორის – აპიანესა და კლავდიოს პტოლემაიოსის ჩვენებებს ემყარება“. როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში მკვლევარი? ბუნებრივია, მან ცალ-ცალკე კრიტიკულად უნდა შეისწავლოს და გააანალიზოს თითოეულ ავტორთან (ამ მოცემულობით – სტრაბონის, აპიანოსისა და კლავდიოს პტოლემაიოსის)

შემონახული ცნობები და ასე მივიდეს სათანადო დასკვნასთან. გ. ჭეიშვილი სწორედ ამ გზას ირჩევს.

სტრაბონის „გეოგრაფიის“, აპიანოსისა და კლავდიოს პტოლემაიოსის თხზულებათა საგულდაგულო კვლევის შემდეგ, სარეცენზიო ნაშრომში მოცემულია დამაჯერებელი დასკვნა, რომ „ხორზენე/ხოტენე მოიცავდა არამარტო ტაოსა და კოლას, რომლებიც სომხური პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დანაწილებით ტაოს ნაჰანგში ერთიანდებოდნენ და ძვ. წ. I ს-ის მიწურულისათვის ემიჯნებოდნენ იბერიას (არტაანთან) ასევე კოლხეთს (კლარჯეთთან), არამედ სპერსაც“. მოტანილი მოსაზრება გამყარებულია სხვა ანტიკურ ავტორთა (პლუტარქოსი, დიონ კასიოსი...) მონაცემებითა და იმ ტოპონიმიკური მასალით, რომელიც ზოგიერთ მიკრო ისტორიულ-გეოგრაფიულ ქვეყანას შემორჩა. მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი წყაროების ანალიზის შედეგად კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულება, რომ „სტრაბონის დროინდელი თემები უფრო დიდ ერთეულებს წარმოადგენდა, ვიდრე მათი თანამოსახელე ადრეფეოდალური ხანის ოლქები“. ეს უდავოდ გასაზიარებელი დებულებაა.

ამრიგად, სარეცენზიო ნაშრომის გაცნობის შემდეგ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ სტრაბონისეული ხორზენე მოიცავდა მტკვრის სათავეებს, ჭოროხის სათავეებსა და ზემო წელს, ე. ი. ისტორიულ კოლას, სპერსა და ტაოს; აღნიშნული ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები, სომხურ ექსპანსიამდე, ქართლის სამეფოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

კიდევ ერთი პროვინცია, რომელიც პარიადრეს კალთებსა და ხორზენესთან ერთად იქნა მიტაცებული, იყო გოგარენე/ქვემო ქართლი. ამ ქართული მიწის თავგადასავალს გ. ჭეიშვილი სომხური კოსმოკრატიზმის წარმოჩენის ფონზე განიხილავს. ზოგადად, კოსმოკრატია (სამყაროზე ზეციური წესრიგის განმახორციელებლად და მის ერთ-ერთ ჭეშმარიტ მბრძანებლად საკუთარი თავის მიჩნევა) შესაძლოა ყოფილიყო ძლევამოსილი იმპერიაც და პატარა სახელმწიფოც, რომლის უზენაესი ხელისუფალნი გამოხატავდნენ ამბიციას, განეხორციელებინათ სუვერენული უფლებები ამა თუ იმ გეოპოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში.

გ. ჭეიშვილი კავკასიური კოსმოკრატიზმის ერთ-ერთ გამოვლენად სომხური სახელმწიფოს სახელწოდებას, „დიდ არმენიას“ და ამ სამეფოს ოთხ საპიტიახშოდ მოწყობას (რაც სამყაროს ოთხივე მხარეზე არმენიის მეფის ბატონობის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენდა) მიიჩნევს. სომხური წყაროების (აგათანგელოსი, მოვსეს ხორენაცი, ფავსტოს ბუზანდაცი) კრიტიკული განხილვის შემდეგ, ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ შეხედულებათა ეს სისტემა, ძლიერ მითოლოგიზებული, მაგრამ ეროვნულ ისტორიად ქცეული, რეალური ისტორიებით საზრდოობდა. ასეთი იყო მაგ., არტაშეს I-ის მიერ მეზობელთაგან მიტაცებული მიწების ხარჯზე „პატარა ქვეყნის ‘დიდ არმენიად’“ გადაქცევა; ტიგრან II-ის დროს

სახელმწიფო საზღვრების კასპიის ზღვიდან ხმელთაშუაზღვამდე გაფართოვება. მაგრამ ეს ყველაფერი გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთში ხდებოდა. რომაელთა ახლო აღმოსავლეთში გაბატონებამ „წერტილი დაუსვა დიდი არმენიის პირველობას რეგიონში. არტაშესიდებმა უარი თქვეს 'მეფეთა მეფის' ხმაურიან ტიტულზე, დაკარგეს ტერიტორიებიც და გავლენაც, დათმეს პოზიციები კავკასიაში, სადაც მათ ახალი მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ იბერთა 'დიდი მეფეების' სახით. შელახულმა პოლიტიკურმა თავმოყვარეობამ გააძლიერა ნოსტალგია წარსული დიდებისადმი, ხოლო პართული დინასტიის დამკვიდრებამ დიდი არმენიის ტახტზე გარდასულ დღეებზე მოგონებები ირანული კოსმოკრატიული კონცეფციებით გააჯერა და კიდევ უფრო ფართოდ შეასხა ფრთები არმენიელთა ტერიტორიულ პრეტენზიებს".

სარეცენზიო ნაშრომიდან მოტანილი ეს ვრცელი ამონარიდი თვალნათლივ აჩვენებს იმ მიზეზს, რომლის წყალობითაც ხორონიმმა გოგარენემ (სომხური წყაროების გუგარქი) ისტორიულ-გეოგრაფიული ევოლუცია განიცადა. გ. ჭეიშვილის თქმით, „ტოპონიმი 'გოგარანი', რომელიც ჯერ კიდევ 200 წლის წინ ცოცხლობდა ბამბაკის მიდამოებში... სომეხთა ექსპანსიის კვალდაკვალ დაპყრობილ ტერიტორიებზეც გავრცელდა: თავდაპირველად მან კანგარი/ბამბაკის ხევი მოიცვა, შემდეგ კი, ჩრდილოეთით – სამშვილდეტაშირი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით – ხუნან-გარდაბანი".

ბუნებრივია, სომხური სახელმწიფოს, „დიდი არმენიის" დასუსტებას „გოგარენეს" ქართლის სამეფოს შემადგენლობაში დაბრუნება მოჰყვა. იგივე ბედი გაიზიარეს „პარიადრეს კალთებმა" და „ხორზენემაც". როდის უნდა მომხდარიყო ქართლის სამეფოს ფარნავაზისდროინდელ საზღვრებში აღდგენა? გ. ჭეიშვილის აზრით, „დაკარგულ თემთა შემოერთებისათვის ბრძოლის ერთი ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი ეტაპი დასრულდა ახ. წ. 60 წლისათვის, როდესაც რომაელებმა სომხეთში ტიგრანი გაამეფეს". ამ დასკვნისას მკვლევარი იმოწმებს რომაელი ისტორიკოსის, ტაციტუსის „ანალებს" (14,26). წყაროს თანახმად, იმპერატორ ნერონის (54-68 წწ.) ბრძანებით, რომაელმა სარდალმა კორბულონმა არმენია დაიმორჩილა და იქ ტიგრანი დასვა ტახტზე; ამ უკანასკნელს კი მიღებული სამეფო ხელისუფლება „ადვილად რომ შეენარჩუნებინა", დიდი არმენიის საზღვრისპირა მიწების ნაწილი, „იმის მიხედვით, თუ ვის სამფლობელოს ესაზღვრებოდნენ", მეზობელ დინასტებს გადასცა. ეს მეზობლები იყვნენ: პოლემონი (პონტოსა და ტრაპეზუნტის მეფე), არისტობულოსი (მცირე არმენიის ხელმწიფე), ფარასმანეს (იგივე ფარსმან – ვ. ვ.) იბერიელი და ანტიოქოს კომაგენელი. ტაციტუსის „ანალების" ეს ერთმნიშვნელოვანი ცნობა გ. ჭეიშვილს საშუალებას აძლევს დაბეჯითებით განაცხადოს, რომ ხსენებული „აქტით იმპერიამ ოფიციალურად დაადასტურა ქართლის სამეფოს საზღვრების გაფართოება დიდი არმენიის მიმართულებით". ვფიქრობ, ეჭვქვეშ მეცნიერის არც ეს დასკვნა შეიძლება დადგეს.

სომხურ წყაროებზე დაკვირვებით გ. ჭეიშვილი კიდევ ერთ საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს. მისი აზრით, „კარგად ჩანს, რომ კოსმოკრატიული პრეტენზიები გუგარქის დაკარგვის შემდეგ მძაფრდება; სომეხ მწიგნობართ გუგარქის ცნება ქართლის სამეფოზე გადააქვთ, ხოლო ქართლის მეფეს სომეხთა მეფის პიტიახშობამდე ამცრობენ“. მკვლევარი იმდენად მწყობრად და დამაჯერებლად წარმოაჩენს სომხური კოსმოკრატიული კონცეფციის უსაფუძვლობას, მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების მიზეზებს, რომ ძნელია ობიექტურმა მკითხველმა (მით უფრო სპეციალისტმა) იოტისოდენა ეჭვი შეიტანოს მის მსჯელობაში. საბოლოოდ, ჩვენს თვალწინ ცოცხლდება საქართველოს კიდევ ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის, ქვემო ქართლის, სტრაბონისეული გოგარენეს წარსული, რომელიც ჩვენი სამშობლოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

აქამდე მთელი ჩვენი მსჯელობა ეხებოდა სარეცენზიო ნაშრომის იმ თავების განხილვას, რომლებშიც ისტორიული საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთის საზღვრების პრობლემებია შესწავლილი. ჩვენი აზრით, ნათლად გამოიკვეთა, რომ გ. ჭეიშვილის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული არაერთი დასკვნა მტკიცე არგუმენტებს ეფუძნება. ამისი თავი და თავი მიზეზი კი პირველწყაროთა უზარმაზარი მასივის ზედმიწევნით სიღრმისეული ცოდნა და აქ დაუნჯებული მასალის ანალიზის შესაშური უნარია. ეჭვი არ მეპარება, რომ სარეცენზიო ნაშრომის ბევრი მოსაზრება მომავალში არაერთი გამოკვლევის მყარი საფუძველი გახდება. ანალოგიური უნდა ითქვას განსახილველი წიგნის სხვა თავებში განთავსებულ შრომებზეც, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისტორიული საქართველოს ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის საზღვრებთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხება. მათშიც ავტორი ცდილობს მხოლოდ სამანებთან წამოჭრილი საკითხები კი არ შეისწავლოს, არამედ გააშუქოს ამა თუ იმ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალში მიმდინარე ეთნოპოლიტიკური და ეთნოკულტურული პროცესები. ეს კიდევ უფრო აცხოველებს წარსულის აღქმას და ამდიდრებს ჩვენს ისტორიულ მეხსიერებას.

ცალკე გამოყოფის ღირსია სარეცენზიო წიგნის ის ნაწილი, რომელშიც გ. ჭეიშვილი საქართველოს ისტორიის გამყალბებლებს ამხელს. საიდუმლო არ არის, რომ ჩვენს მეზობლებს, რომლებსაც ძალზე ხშირად რუსული საისტორიო სკოლის წარმომადგენლებიც უმაგრებენ ზურგს, დიდი ხანია თვალი ძირძველ ქართულ მიწებზე უჭირავთ. ამის დასტურია მრავალრიცხოვან შრომებში გამჟღავნებული ტერიტორიული პრეტენზიები, რომლებსაც მუდმივად გვიყენებენ. მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ეს პასკვილები უმეტეს შემთხვევაში შიდა მოხმარებისთვის იწერება და მათი ავტორების ნაწილმაც კი შესანიშნავად იცის, რომ აქ გამოთქმულ მოსაზრებებს მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი სპეციალისტების ვალია ყურადღების მიღმა არ

დარჩეს თუნდაც ერთი ასეთი „მეცნიერული“ მიგნება და მტერ-მოყვარეს გავაგებინოთ, რომ მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და სახელმწიფოებრიობის მქონე ქართველი ერი ვერასდროს შეეგუება თავისი მამა-პაპის სისხლით მოტანილი სახელმწიფო ტერიტორიის ხელყოფას.

განსახილველ ნაშრომში გ. ჭეიშვილის სამი პოლემიკური ხასიათის წერილია დაბეჭდილი: 1) ახალი რუკები და ძველი უთანხმოებანი: რეცენზია რობერტ ჰიუსონის ნაშრომზე „სომხეთის ისტორიული ატლასი“; 2) „Армянское нагорье“ и некоторые вопросы грузино-армянских отношении в публикации Роберта Хьюсона „Армения – исторический атлас“; 3) Дабы не заблуждаться и не вводить в заблуждение. პირველი ორი ეძღვნება ამერიკელი სწავლულის, სომხეთის ისტორიული გეოგრაფიის აღიარებული სპეციალისტის შრომაში „სომხეთის ისტორიული ატლასი“ (ჩიკაგო, 2001), ხოლო მესამე – ცნობილი აზერბაიჯანელი მეცნიერის, იმ დროს აზერბაიჯანის ეროვნული აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის, აკად. იაყუბ მახმუდოვის სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ინტერვიუში „Тифлис – древный азербайджанский город“ (Инфотека 24. 22 июля, 2019) გამოთქმული მოსაზრებების კრიტიკას.

სრულიად შეგნებულად სიტყვას არ დავძრავ ხსენებულ წერილებში გ. ჭეიშვილის მიერ თავისი ოპონენტების მხრიდან ნებსით თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომებისა თუ სიყალბის გამოსამჟღავნებლად მოტანილი არგუმენტებისა და ფაქტების შესახებ. დაინტერესებულმა ქართველმა თუ არაქართველმა მკითხველმა, სრული სიამოვნების მისაღებად, თავად უნდა წაიკითხოს სამივე ნაშრომი. მისხალი ეჭვიც არ მაქვს, რომ ამ შემთხვევაში ყველა გაიზიარებს ჩემს შემდეგ შეფასებას: გ. ჭეიშვილი ა) მკაცრად იცავს მეცნიერულ ეთიკას; ბ) საკამათო საკითხების ირგვლივ ფლობს სიღრმისეულ ცოდნას; გ) მხოლოდ და მხოლოდ პირველწყაროების მოშველიებითა და მეცნიერული ანალიზის შედეგად თანმიმდევრულად ამხელს მოწინააღმდეგე მხარის „გულმავიწყობას“, მიკერძოებულობას, ისტორიული მოვლენების მრუდე ინტერპრეტაციას; დ) მკაფიოდ წარმოაჩენს ოპონენტთა მიერ „დაშვებულ შეცდომებს“ და იქვე იძლევა არგუმენტირებულ, ობიექტურ დასკვნებს. და ეს ყველაფერი ისე ხდება, რომ მკითხველი, თავისდაუნებურად, მკვლევრის მიერ გამოთქმული მოსაზრებების თანაავტორად მიიჩნევს თავს. შედეგიც შესაბამისია – ქართული პოზიციის მხარდამჭერი ან უბრალოდ მიუმხრობელი შემფასებელი გ. ჭეიშვილს ეთანხმება, ხოლო მოწინააღმდეგე მხარე (რა თქმა უნდა, ელემენტარული მეცნიერული კეთილსინდისიერების მქონე) იძულებულია მძიმე მარცხს შეურიგდეს.

ვიდრე წინამდებარე რეცენზიას გავასრულებ, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ განვაცხადო: სამშობლოს ისტორია ის მტკიცე ბალავარია, რომელზეც ეროვნული ცნობიერებაა დაშენებული. ამ უკანასკნელის ჩამოყალიბებაში, შენარჩუნებასა და განმტკიცებაში სრულიად განსაკუთრებულია საუკუნეების განმავლობაში შექმნილი „კოლექტიური

მეხსიერების ხატების“ მნიშვნელობა, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესია „სახელმწიფო ტერიტორია“. ამ ფენომენს კი საისტორიო მეცნიერების ის დარგი სწავლობს, რომელსაც ისტორიული გეოგრაფია ჰქვია. სწორედ მეცნიერული კვლევები უნდა ედოს საფუძვლად ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. დღეს ქართული ისტორიული გეოგრაფიის ოდესღაც შესანიშნავ სკოლას, რბილად რომ ვთქვათ, მძიმე დღეები უდგას. ამიტომაც, ვიდრე გვიან არ არის, მისი აღორძინება-განვითარება ქვეყნის, მეტადრე განათლებისა და მეცნიერების მესვეურთა უპირველეს ამოცანად უნდა იქცეს. ვფიქრობ, დამოუკიდებელ საქართველოში ამ მიმართულებით კვლევების გაღრმავების უდავო საჭიროება კიდევ ერთხელ თვალნათლივ წარმოაჩინა გ. ჭეიშვილის ნაშრომმა „სანახებნი ქართლისანი“, რომელიც მართლაც მრავალმხრივ საყურადღებო და საჭირო წიგნია.